<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების შეჩერების თაობაზე“

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის N03/266 ბრძანების საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველეს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რის შემდეგაც კომპანია „RMG“ საყდრისი-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. ვინაიდან აღნიშნულ ძეგლზე კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნის პროცედურების ნაჩქარევმა, ამასთან ბუნდოვანმა განხორციელებამ და არგუმენტაციის სისუსტემ გამოიწვია მეცნიერთა და საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეჩერდეს კომპანია „RMG“ მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები.
2. დაევალოს საქართველოს მთავრობას მოახდინოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული 2014 წლის 12 დეკემბრის N03/266 ბრძანების შეჩერება, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის მიღებამდე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**